საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-02/286

ქ. ბათუმი 06 დეკემბერი, 2022 წ.

,,ბსუ-ს მიერ 2022-23 სასწავლო წელს განსახორციელებელი სასკოლო ღონისძიებების/აქტივობების განრიგის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 9 ნოემბრის N01-02/263 ბრძანებაში დამატების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმის - 2018-2024 წლები (28.06.2017 წლის აკადემიური საბჭოს N40 დადგენილება), ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ-ს რექტორის მოადგილეთა ფუნქციების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 26 ნოემბრის N01-02/211 ბრძანების (დამატება 2022 წლის 14 ივლისის N01-02/171 ბრძანებით) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,ბსუ-ს მიერ 2022-23 სასწავლო წელს განსახორციელებელი სასკოლო ღონისძიებების/აქტივობების განრიგის დამტკიცების შესახებ" **ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 9 ნოემბრის N01-02/263 ბრძანებაში შევიდეს დამატება,** კერძოდ, ბრძანებას პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს **1[1] პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

   ,,1[1]. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებული საქმიანობის წარმართვის მიზნით დამტკიცებული ბსუ-ს მიერ 2022-23 სასწავლო წელს განსახორციელებელი სასკოლო ღონისძიებების/აქტივობების განრიგის შესრულების შესახებ **სამსახურებრივი ბარათი რექტორის მოადგილის (თ.სირაძე) მიერ წარმოდგენილი იქნეს ყოველი თვის დასრულებიდან 5 კალენდარულ დღეში** (მათ შორის 2022 წლის დეკემბერში - არაუგვიანეს 12 დეკემბრისა).''.

2. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
3. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ფაკულტეტებს, დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებს და N01-02/263 ბრძანების დანართში აღნიშნულ პერსონალს.
4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილი წესით, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**